

„დიპლომატია და სამართალი“

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში სტატიების მიღების წინაპირობები და გაფორმების წესი

ჟურნალის მიზანია, ხელი შეუწყოს ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებებით აკადემიური/მოწვეული პერსონალის დაინტერესებას და მათი მიღწევების პოპულარიზაციას.

ჟურნალი გამოვა წელიწადში ორჯერ. მასში წარმოდგენილი იქნება ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ყველა დარგი.

ჟურნალში დაიბეჭდება პერსონალის და დოქტორანტების სამეცნიერო გამოკვლევები, დაიბეჭდება რეცენზიები და სხვა ინფორმაცია სამეცნიერო ცხოვრების შესახებ.

სტატიის¹ მიღების წინაპირობაა:

ავტორი უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხი მქონე პირი ან დოქტორანტი (დოქტორანტის შემთხვევაში საჭიროა ხელმძღვანელის/რეკომენდატორის, წერილობითი დასკვნა, მასზედ რომ სტატია აკმაყოფილებს ჟურნალის სამეცნიერო და ტექნიკურ მოთხოვნებს და წარმოდგენილი სახით შეიძლება დაიბეჭდოს).

სტატიის დაბეჭდვის მსურველმა სტატიასა და/ან ხელმძღვანელის/რეკომენდატორის წერილობით დასკვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს განაცხადი ელექტრონულად;

სტატიაში დაცული უნდა იყოს ჟურნალის დამოწმების სტილი და სტატიის გაფორმების წესი.

განაცხადის ფორმა:

- სახელი, გვარი;
- თემის სათაური (სტატია მიზმულ ფაილად);
- ტელეფონი/მობილური;
- დოქტორანტებისთვის ხელმძღვანელის/რეკომენდატორის სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი/მობილური;
- თარიღი.

სტატიების გაფორმების წესი:

- სტატიის ენა - ქართული; ინგლისური
- რედაქტორის პარამეტრები Word Windows-ისთვის;
- ფურცლის ზომა A4;
- მინდორი: ზევით-ქვევით - 2 სმ; მარჯვნივ-მარცხნივ - 2სმ.
- შრიფტი -Sylfaen; (ცალკეულ შემთხვევაში AcadNusx- ჰუმანიტარული მეცნიერებები)

¹ სამეცნიერო სტატიის არსი - სამეცნიერო სტატია არის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ასახვს დოქტორანტის/მეცნიერის სამეცნიერო კვლევის შედეგებს.

- შრიფტის ზომა -12;
- სტრიქონებს შორის ზომა -1;
- გვერდების რაოდენობა - 5-10;

სტატიის ტექსტის ფორმატი:

ავტორის სახელი, გვარი - შრიფტის ზომა 12;

სტატიის სახელწოდება - Bold შრიფტის ზომა 14;

სტატიის ტექსტი - შრიფტის ზომა 12; სტრიქონებს შორის მანძილი -1, ველების მანძილი ყველა მხრიდან -2 სმ;

ყველა მასალა (სტატია, განაცხადი, ხელმძღვანელის/რეკომენდატორის დასკვნა) წარმოდგენილი უნდა იქნას ელექტრონული ვერსიით.

ჟურნალის დამოწმების სტილი/ციტირების სტილი

შიდატექსტური დამოწმება

ლიტერატურის შიდატექსტური დამოწმება სრულდება შემდეგნაირად:

- კვადრატულ ფრჩხილებში ჩაიწერება ავტორის გვარი, მძიმე, პუბლიკაციის წელი, ორწერტილი და გვერდის ნომერი. მაგ., რისმაგ გორდეზიანის წიგნი "მედიტერანულ-ქართველური მიმართებები". ტომი II. ლოგოსი. თბ., 2007. გვერდი 181. ტექსტში დამოწმებული იქნება შემდეგნაირად: [გორდეზიანი, 2007:181].
- უცხოურენოვანი წიგნის მითითების შემთხვევაში, ავტორის გვარი უნდა მიეთითოს ორიგინალის ენაზე, ხოლო დამოწმების წესი იქნება ისეთივე, როგორც არის ქართულენოვანი წიგნის მითითებისას. მაგალითად, წიგნი Barry Lord, Gail Dexter Lord. The Manual of Museum Management. Tb.,2006 დამოწმებული იქნება ასე: [Lord, 2006:35].
- ბიბლიის დამოწმება ხდება შემდეგნაირად: კვადრატულ ფრჩხილებში ჩაიწერება დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით ბიბლიური წიგნის შემოკლებული სახელწოდება, წერტილი, თავი, ორწერტილი, მუხლი. ნიმუში: [დაბ. 15:21]; [გამ. 15:16];
- თუ ავტორს ერთსა და იმავე წელს გამოცემული აქვს ორი ან მეტი წიგნი, ავტორის გვარის შემდეგ მიეთითება შესაბამისად A, B და ა.შ. ნიმუში: [გორდეზიანი A, 2007:181].

გამოყენებული ლიტერატურის აღწერის სხვადასხვა სქემა არსებობს. მათ შორის ავტორიტეტულ საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში გამოყენებულია რამდენიმე ბიბლიოგრაფიული სტანდარტი, კერძოდ:

- APA- American Psychological Association (5th ed.):
- **Author, A.A., Author, B.B., & Author, C.C. (2005). Title of article. Title of Journal, 10(2), 49-53.**
- Council of Biology Editors – CBE 6th, Citation-Sequence
- **Author AA, Author BB, Author CC. Title of article. Title of Journal 2005; 10(2):49-53.**
- Chicago 15th Edition (Author-Date System)
- **Autor, Alan A., B.B. Autor, and C. Autor. 2005. Title of article. Title of Journal 10, (2): 49-53**

- Harvard
- **Author, A.A., Author, B.B., & Author, C.C. 2005. "Title of article". *Title of Journal*, vol. 10, no. 2, pp. 49-53.**
- Harvard – British Standard
- **AUTHOR, A.A., AUTHOR, B.B. and AUTHOR, C.C., 2005. Title of article. *Title of Journal*, 10 (2), pp. 49-53.**
- NLM – National Library of Medicine
- **Author AA, Author BB, Author CC. Title of article. Title of Journal. 2005; 10(2):49-53.**

ბიბლიოგრაფიის მითითება:

სტატიის ბოლოს მითითებული გამოყენებული ლიტერატურის სიაში ან ბიბლიოგრაფიაში გამოცემები დალაგდება ანბანური თანმიმდევრობით ავტორების (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სათაურის) გვარების მიხედვით; ჯერ ქართული, შემდეგ უცხოური გამოცემები.

შენიშვნები

- ავტორისეული შენიშვნები ჩატანილი უნდა იყოს სქოლიოში, შესაბამისი გვერდის ბოლოს და დაინომროს ერთიანი ნუმერაციით მთელ სტატიაში. სქოლიოს შრიფტის ზომა 9.
- სტატიის შიგნით ტექსტის ციტირებისას იგი უნდა გამოიყოს ძირითადი ტექსტიდან დახრილი შრიფტით (იტალიკით). ციტატის შრიფტის ზომა - 11.
- გამოსაქვეყნებელი სამეცნიერო სტატიები გადის წინასწარ რევენზირებას.
- ჟურნალის ყველა სამეცნიერო სტატიას უნდა ახლდეს ავტორისეული რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენაზე²;
- გამოყენებული ლიტერატურა დაწერილ უნდა იყოს არაბული ნუმერაციით;
- ჟურნალი უნდა იცავდეს სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების ეთიკას, რის შესახებაც გაცხადებული უნდა იყოს ჟურნალის საიტზე.

მოთხოვნა სტატიების აუცილებელი რევენზირების შესახებ:

„ცალმხრიული ფარული (ანონიმური) რევენზირება“ (“single blind peer review”): რევენზენტმა იცის ავტორის ვინაობა, ავტორმა კი არ იცის რევენზერტის ვინაობა; ითვალისწინებს ორ ან მეტ რევენზენტს თითოეული გამოცემის ყველა სტატიისათვის;

სტატიის შეფასების კრიტერიუმებია შემდეგი:

- კვლევის თემის მიზანი და მისი აქტუალობა: ნაშრომის მნიშვნელობა და მისი მიზნის შესაბამისობა კვლევის თემატიკასთან.

² სამეცნიერო შრომის (სტატიის, მონოგრაფიის და სხვ.) ავტორისეული რეზიუმე - რეფერატი (abstract) უნდა გადმოსცემდეს სამუშაოს არსს და გასაგები იყოს მკითხველისათვის თვით პუბლიკაციის წაკითხვის გარეშე. იგი არ უნდა შეიცავდეს ისეთ მასალას, რაც არ არის პუბლიკაციის ძირითად ტექსტში.

- მეცნიერული სიახლე და კვლევის შედეგების მნიშვნელობა: კვლევის შედეგების მეცნიერული სიახლის დონე, მათი თეორიული, გამოყენებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა;
- საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და ნაშრომის სტრუქტურა: რამდენად სიღრმისეულია მსჯელობა, როგორ იცნობს ავტორი (ან ავტორები) სტატიის თემატიკაზე არსებულ ნაშრომებს, როგორაა ორგანიზებული სტრუქტურულად სტატია კვლევის მიზნის მისაღწევად.

საკონტაქტო პირი: ჟურნალის რედაქტორი დავით გეფერიძე journal@newuni.edu.ge